ოქმი:**ო37. 37232913**
თარიღი:**18/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვახტანგ ნიჟარაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 12ოქტომბერი
სოფელი ვაკიჯვარი
12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა:ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, ვაკიჯვარი-ცხემლისხიდი-მთისპირის მერის წარმომადგენლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს-აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ვ. ნიჟარაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი .იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, ვ. ნიჟარაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, სოფლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე.საკრებულოს წევრმა ვ. ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ უშუალოდ მისი ჩართულობით მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.კერძოდ: ოზურგეთი- ჩოხატაურის, უჩხუბი-

ვაკიჯვარის,მთისპირი-ბასილეთის დამაკავშირებელი გზების შეკეთება,რომელიც დასრულდება ა/წ 15 ნოემბრისათვის.მოწესრიგდა შიდა გზები და გასუფთავდა სანიაღვრე არხები.დასრულებულია სასფლაოებთან მიმავალი გზების შეკეთება.დასაქმდა სოციალურად დაუცველი მოქალაქეები ,რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვანია სოფლისთვის.

ვახტანგ ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ მომდევნო წლის მუშაობის პრიორიტეტი იქნება: სოფლის პროგრამის ფარგლებში მობილიზებული თანხების პარარელურად დამატებითი რესურსების მოპოვება, რომ დასრულებულ იქნას ის პროექტები,რომელიც ჯერ კიდევ დაუსრულებელია.

საკრებულოს წევრს დაუსვეს კითხვები და თხოვნით მიმართეს მათი პრობლემების მოგვარების საქმეში დახმარების გაწევის შესახებ. ემიგრაციიდან დაბრუნებულმა მოქალაქემ, ირინე შარაშენიძემ(ფამფალეთი) ითხოვა დასაქმება და საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციაში დამარების გაწევა. ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. მადლობა გადაუხადეს ვახტანგ ნიჟარაძეს გაწეული შრომისთვის და აღნიშნეს, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია.ვ. ნიჟარაძემ ამომრჩევლ ირინე შარაშენიძეს განუმარტა, რომ მას, როგორც ემიგრაციიდან დაბრუნებულს, გაეწევა დახმარება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის ლავრენტი ბიგვავას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი